

უმკვიდრო ქონების როლი სამოქალაქო სამართალში და მისი
გადანაწილების სამართლებრივი ასპექტები

თამარ ხარაზია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ხარაზია, 2019 წლის 01 ივლისი

ტერმინთა განმარტება

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სს - სააქციო საზოგადოება

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი დაეფუძნა შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდს და სამართლებრივი ანალიზი განხორციელდა გერმანიის, ამერიკისა და საქართველოს მაგალითებზე. ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურისა და არსებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე განხილულ იქნა უმკვიდრო ქონების როლი სამოქალაქო სამართალში და მისი გადანაწილების სამართლებრივი ასპექტები, მათი მიმართება სხვადასხვა კანონმდებლობასთან, მაგალითად: საქართველოს კონსტიტუციასთან, საოჯახო სამართალთან და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან. საკითხის კვლევის დროს დიდი ადგილი დაეთმო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე და 1343-ე მუხლებს და მასში არსებულ პრობლემურ ნაწილებს. კერძოდ, კანონისმიერი რიგითობის არასრულყოფილ ჩამონათვალს, რომელიც უთანასწორო გარემოს სთავაზობს კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და ამასთანავე, სამეწარმეო საზოგადოებებში უმკვიდრო ქონების მიღებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ პრობლემურ საკითხებს. ნაშრომი მიზნად ისახავდა გამოეკვლინა უმკვიდრო ქონების მიღების თანამედროვე გამოწვევები. პრაქტიკული მაგალითების განხილვით მოეხდინა შეფასება არსებული საკანონმდებლო ბაზის და თემის ბოლოს, დასკვნით ნაწილში, რეკომენდაციის სახით შემოეთავაზებინა ის ალტერნატიული გზები, რომელიც მეტ-ნაკლებად შეავსებდა შავ ხვრელებს და საკანონმდებლო გარემოს უფრო სამართლიანს გახდიდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომი საინტერესოა არა მხოლოდ იურისტებისათვის, არამედ ყველა იმ პირისათვის, ვის დღის წესრიგშიც დგას სამკვიდროს მიღების საკითხი ვინაიდან, საკანონმდებლო ხარვეზებთან ერთად მწირია ქართული იურიდიული ლიტერატურა მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი უმკვიდრო ქონებასთან მიმართებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მამკვიდრებელი, უმკვიდრო ქონება, სახელწმიფო, მემკვიდრე, შპს, სს.

Abstract

Presented Master Thesis is based on the comparative-legal research methodology and the analysis is implemented based on the German, US and Georgian examples. The role of Heirless Estate in the Civil Law and legal aspects of its repartition and its connection with other legislationsf was researched based on the existing practical experience and the Georgian and Foreign Legal Literature, for example: Constitution of Georgia, Family Law and Law of Georgia on Entrepreneurs. During the research, a large space was devoted to Articles 1336 and 1343 of the Civil Law of Georgia and their problematic sides. More specifically, incomplete listing of lawful consecutiveness which offer unequal environment to the legal and physical persons of the Private Law and additionally, practical problems related to the acquisition of Heirless Estate in entrepreneurial societies. The aim of the thesis was to identify modern challenges related to the Heirless Estate, to evaluate existing legislative base based on the practical examples and at the end of the topic, as the recommendation, suggest alternative ways which would fill out the gaps and make environment more law-observing.

Taking into consideration the aforementioned, this Master's thesis is not only interesting only for the lawyer, but for each person who has the matter of acquisition of Heirdom on their agenda as in addition to the legislative gaps, there is a very limited amount of Georgian literature on Legacy law, especially related to the Heirless Estate.

Keywords for Search : Testator, Heirless Estate, State, Successor, Ltd, JSC